საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

**№1-25/32** **24/11/2023**

**დასკვნა/რეცენზია ონლაინ სასწავლო მოდულზე „დიაბეტური ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის პრობლემების მართვა პირველად ჯანდაცვაში“**

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირს რეცენზირებისთვის წარედგინა ონლაინ სასწავლო მოდული „დიაბეტური ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის პრობლემების მართვა პირველად ჯანდაცვაში“. უპგ კურსი ეყრდნობა პირველად ჯანდაცვაში ტიპი 2 დიაბეტის მართვის პროტოკოლს და დიაბეტური გართულებების მართვის კლინიკურ გზამკვლევს, რომლებიც განახლდა 2023 წელს. სასწავლო მოდული შემუშავებულია ჩეხეთის კარიტასის პროექტის „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში. პროგრამაში განხილულია დიაბეტური ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის პრევენციის, სკრინინგის, საწყისი შეფასების, მკურნალობის მეთოდები, რეფერალისა და ჰოსპიტალიზაციის კრიტერიუმები და რუტინული მეთვალყურეობის რეკომენდაციები.

ყველასთვის კარგად ცნობილია, რამდენად მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის პრობლემები შეუძლია გამოიწვიოს დიაბეტის გართულებებმა. მთავარ პრობლემას წარმოადგენს გართულებების შემპარავი, უსიმპტომო დასაწყისი. როდესაც გართულება კლინიკურად გამოვლინდება, პროცესი უკვე შორსწასულია. თუმცა კარგმა თვითკონტროლმა და დიაბეტის სრულყოფილად მართვამ, შეიძლება შეაჩეროს ან გადაავადოს გართულებების შემდგომი პროგრესი. წარმოდგენილი ონლაინ კურსი ეხება შაქრიანი დიაბეტის ისეთ მნიშვნელოვან გართულებებს, როგორიცაა ნეფროპათია, რეტინოპათია და ტერფის პრობლემები, რაც დიაბეტით დაავადებულ პირთა შეზღუდული შესაძლებლობების, ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია, ხოლო მათ პრევენციასა და პროგრესირების შეჩერებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პირველად ჯანდაცვას.

კურსის ფორმატი საშუალებას აძლევს მსმენელს, ეფექტურად მართოს თავისი დრო დატვირთული კლინიკური პრაქტიკის პირობებში, რაც საშუალებას მისცემს ექიმს, აიმაღლოს კვალიფიკაცია და გაიუმჯობესოს აღნიშნული გართულებების მართვის უნარები, დამატებითი პირისპირ დასწრების საჭიროების გარეშე.

წარმოდგენილი ონლაინ სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს სწავლას ნებისმიერი ადგილიდან, სადაც არსებობს წვდომა ინტერნეტთან. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა

პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის სოფლად ან მოშორებულ რეგიონებში, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ შეზღუდული წვდომა ტრადიციულ საგანმანათლებლო რესურსებზე.

კურსის სტრუქტურა და ფორმატი წარმოდგენილია მკაფიოდ და ლოგიკურად, მასში სრულყოფილად არის განხილული ყველა ის საკითხი, რომელიც პირველადი ჯანდაცვის ექიმს დაეხმარება ამ გართულებების პრევენციაში, დროულ ამოცნობასა და ადეკვატურ მართვაში, ასევე, რეფერალის კრიტერიუმების განსაზღვრასა და პაციენტზე მეთვალყურეობაში ჰოსპიტალიზაციის შემდეგ.

ონლაინ სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილია რესურსების ფართო სპექტრი, მათ შორის კლინიკური შემთხვევები, მრავალ არჩევანიანი კითხვარები, იმ პროტოკოლებისა და გზამკვლევების ბმულები, რასაც ეყრდნობა მოდული, რაც უადვილებს პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ინფორმაციის აღქმას და პრაქტიკულ გამოყენებას.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, დადებითად ვაფასებთ წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო პროგრამას „დიაბეტური ნეფროპათიის, რეტინოპათიის და დიაბეტური ტერფის პრობლემების მართვა პირველად ჯანდაცვაში“ და რეკომენდაციას ვუწევთ მის აკრედიტაციას დადგენილი წესის მიხედვით.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.11.24 12:03:24